პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 24
(6835)

3
1981 წ.
თებერვალი.
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

მარადისობის კანონი...

ათასი მზე, მილიონი ვარსკვლავი და ზღვა სიხარული ერთად ციმციმებდა. ათი ათასი ფეხზე ამდგარი კაცი ემოციებს ვეღარ მალავდა — მქუხარე ტაშს გულიანი სიცილი ცვლიდა, ოვაციას — შეძახილები...

ბევრი ლამაზი ზეიმი მინახავს, მაგრამ' ასეთი?..

ეს იყო ნამდვილი სახალხო ზეიმი, ზეიმი უშუალო და გულღია.

ის კი იდგა ოდნავ დაბნეული და მომხდარისგან გაოგნებული, თავის პატარა ბიჭებს ხელს მაგრად უჭერდა და მხოლოდ ლევანისთვის დამახასიათებელი ალალი კაცის გულწრფელი სიხარულით მთელს სასახლეს გულში იხუტებდა.

ბარაქალა შენს კაცობას, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილო ადამიანო...

ბარაქალა მას, ვინც ასეთი ზეიმი მომიწყო. არა, არ შემშლია: ეს იყო ჩემი, შენი, ყველას ზეიმი, სპორტის კიდევ ერთი დიდი აღიარება.

ბარაქალა შენ, ქართველო გულშემატკივარო, რა სიყვარული გცოდნია...

ბარაქალა თქვენ, საგარეჯოელებო. ეს რა ხალხი ყოფილხართ — ასე ლამაზად, ასე გულიანად, კახურად ხელდამშვენებულნი, თავკაცებთან ერთად რომ ჩამობრძანდით.

მადლობა თქვენ, მახაჩყალელო მოჭიდავენო. თქვენს მიერ ჩამოტანილი ხალიჩა იმ სიმბოლურ ხიდს ჰგავდა, რომელიც ნალხებს აკავშირებს და ამეგობრებს. სწორედ ამ მეგობრობის ხიდზე გაიარეს ლევანის ყოფილმა მეტოქეებმა, როდესაც მხრებზე შესმული იუბილარი სასახლეს შემოატარეს.

— ხალხნო, აქამდე არ გამჭირვებია, ახლა კი დამეხმარეთო...

ჰაი დედასა, ცრემლნარევი იუმორი იყო ლევანის ამ სიტყვებში... სადღა გვყავს ფალავნებიო...

ჩემო ლევან, შენ სპორტიდან იმიტომ წახვედი, რომ სპორტში დარჩე, რომ შენი ერის შვილებს, ახალ ამპლუაში მყოფმა, მუხლი და გული გაუმაგრო...

განა ეს არ არის მარადისობის კანონი?..

გივი ყირმელაშვილი.

• • •

სურათზე: ასე შემოატარეს ლევან თედიაშვილი საპატიო წრეზე ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ილია მატემ და ივან იარიგინმა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ნაკრები ელის ღირსეულთ

1 თებერვალი, თბილისის XX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღე და საზეიმო ცერემონიალის მოლოდინში გასუსული ტრიბუნა.

სარბიელზე ლევან თედიაშვილს უხმეს.

ფეხზე წამომდგარი მაყურებელი ტაშით მიესალმება ჩემპიონთა ჩემპიონს.

ლევანს მარჯვე ბიჭებისთვის ჩაუვლია ხელი, ღიმილი დასთამაშებს სახეზე. ეს სევდანარევი ღიმილია—დადგა ჟამი დიდ სპორტთან განშორებისა...

* * *

როცა წინასწარი შეხვედრები დამთავრდა და შეჯიბრება ფინიშს მიუახლოვდა, ნათლად გამოიკვეთა ლიდერთა და აუტსაიდერთა კონტურები. მაყურებელს, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა თანამემამულეთა გამოსვლა აინტერესებს. ფინალში სამი ქართველი მოჭიდავე გავიდა და ახლა ყველაფერი გადამწყვეტ ორთაბრძოლაზეა დამოკიდებული. გიორგი მაკასარაშვილი ადრეც არაერთხელ ასულა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, წლევანდელ ტურნირში კი ამის შესაძლებლობა დავით გიგაურსა და მალხაზ მერმანიშვილსაც მიეცათ.

თუმცა, მივყვეთ თავიდან. **უმჩატეს წონაში** მსოფლიოს ჩემპიონის სერგეი კორნილაევის პრიორიტეტი უდაო იყო. კორნილაევმა საოცარი სიმსუბუქით გაიკვლია გზა ფინალისკენ, სადაც მას რიგელი ხრისტაფოროვი უცდიდა. აქ მან აშკარად ვერ გაუძლო კორნილაევის შეტევებს და მეორე პერიოდში მსაჯებმა პასიურობისთვის მოხსნეს. **მჩატე წონა.** შუგაევი (მახაჩყალა)—იორდანოვი (ბულგარეთი). მას შემდეგ, რაც მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ხანატილი ბელოგლაზოვმა წონა შეცვალა (იგი ახლა ძმასთან, სერგეისთან ერთად 57 კგ წონაში გამოდის), შუგაევი მტკიცედ დამკვიდრდა ქვეყნის ნაკრებში. იორდანოვმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მას, მაგრამ გამძლეობა ბოლომდე არ ეყო და ქულებით დამარცხდა.

ქვემსუბუქ წონაში შეუდარებელი იყო კიეველი სერგეი ბელოგლაზოვი, რომელმაც ფინალში კემეროვოელ იარცევს დააყრევინა ფარ-ხმალი. მახაჩყალელმა იბრაგიმოვმა **(62 კგ)** წმინდად მოუგო კრასნოიარსკელ ალექსეევს და ასევე ოქროს მედალი მოიპოვა. წინასწარ შეხვედრებში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა თბილისელმა გიგაურმა **(68)**. როგორც ვიტყობინებოდით, მან მე-5 წრეში მედლისთვის ბრძოლას გამოთიშა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მახაჩყალელი აბუშევი. ფინალში გიგაურს არანაკლებ ძლიერი მეტოქე ჰყავდა—მსოფლიოს ჩემპიონი მიხეილ ხარაჩურა (ჟდანოვი). სამწუხაროდ, გიგაურმა ტაქტიკური შეცდომებით წარმართა ეს შეხვედრა, ინიციატივა თავიდანვე მეტოქეს დაეთმო და ქულებით დამარცხდა. რა თქმა უნდა, ასეთი ავტორიტეტული შეჯიბრების ფინალში გასვლა ახალგაზრდა მოჭიდავისთვის წარმატებად უნდა ჩაითვალოს. სპეციალისტები გიგაურს კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და, ვფიქრობთ, ის კიდევ იტყვის თავის სიტყვას.

საქართველოს წარმომადგენელთაგან ყველაზე საიმედოდ გიორგი მაკასარაშვილმა **(74 კგ)** იასპარეზა. ეს მოჭიდავე ბოლო წლებში სტაბილურად გამოდის საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში და, როგორც წესი, საპრიზო ადგილებს იკავებს. როგორც შარშან, მაკასარაშვილი წლეულსაც ერთადერთი ქართველი სპორტსმენი აღმოჩნდა, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოვა.

ფინალი. მაკასარაშვილი—ვორობიოვი. ეს იყო ღირსეულ მეტოქეთა ჭიდილი, სადაც დახვეწილ ტექნიკას დიდი ფიზიკური ძალა დაუპირისპირდა. მაკასარაშვილმა პირველივე პერიოდში მოათავა საქმე — ორი მომგებიანი ქულა აართვა მეტოქეს და ის უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. ულანუდელმა ალექსეევმა **(82)** ასევე ქულებით მოუგო კიეველ დანკოს და ტურნირის ჩემპიონი გახდა.

ჭიდაობის მოყვარულებს კარგად უწყით მოსკოველი სანასარ ოგანესიანის **(90)** ბოლოდროინდელი წარმატებები. შარშან მან ყველა მნიშვნელოვან შეჯიბრებაში (ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოს, ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონატები) გაიმარჯვა და, ბუნებრივია, თბილისის საერთაშორისო ტურნირის უპირველეს ფავორიტად ითვლებოდა. ღირსეული წინააღმდეგობა მას მხოლოდ მეორე ფინალისტმა, კრასნოიარსკელმა ბატნიამ გაუწია. ოგანესიანმა მცირე უპირატესობით გაიმარჯვა.

ქვემძიმე წონით კატეგორიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: სარბიელი დატოვა იარიგინმა, მძიმე წონაში გადავიდა ბისულთანოვი (თბილისის ტურნირში არ მონაწილეობდა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი მატე), ასე რომ, თავის გამოჩენის საშუალება მიეცათ ახალგაზრდა მოჭიდავეებს. თავიანთ ქვეჯგუფებში პირველი ადგილები დაიკავეს და ფინალში დაწყვილდნენ ევროპის ჩემპიონი, მახაჩყალელი მაგომედოვი და ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი მერმანიშვილი (აღსანიშნავია, რომ ქართველმა ფალავანმა დაამარცხა მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი, გროზნოელი ორცუევი). მაგომედოვს გამარჯვება მოუტანა პირველ პერიოდში აღებულმა ერ-

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *



სურათზე: შუგაევისა (მარჯვნივ) და იორდანოვის ფინალური შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

● მაგიდის ჩოგბურთი

ბათუმელი ოსტატის 3 მედალი

ყარაგანდაში დამთავრდა საკავშირო პირადი ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ამ ასპარეზობის გადამწყვეტ ეტაპზე გამართულ ბრძოლებში ჩაება 24 ქალი და ამდენივე ვაჟი, ისინი, ვინც წინასწარ ტურნირებში მიაღწია წარმატებას.

ბათუმელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა **ს. სარხოიანმა** („სპარტაკი“) ტურნირი შესანიშნავად ჩაატარა. მის ერთ-ერთ ბრძოლას გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ მაღალ შეფასებას აძლევს, წერს, რომ ს. სარხოიანისა და ა. სტროკატოვის მატჩში მეტოქეებმა ხუთივე პარტია გამოიყენეს და თანაც როგორ! მათ ეფექტურ მატჩს მაყურებელი თითქმის მთელი საათის მანძილზე დაძაბული ადევნებდა თვალს. ასეთი ორთაბრძოლა ნებისმიერი რანგის ტურნირის ფინალურ შეჯიბრებას დაამშვენებდა. სარხოიანის შესანიშნავმა, მსუბუქმა თამაშმა თავისი გაიტანა. ბათუმელმა გაიმარჯვა...

ასეთივე შემართებით იბრძოდა სპორტსმენი სხვა შეხვედრებშიც. სამი დღის განმავლობაში ბათუმელმა ოსტატმა ქვეყნის ჩემპიონის 2 ოქროსა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა: ერთეულ ვაჟთა შეჯიბრებაში III ადგილზე გავიდა (ჩემპიონი გახდა ი. სოლოპოვი), ხოლო ვაჟთა წყვილების ასპარეზობაში ლვოველ ა. სტროკატოვთან ერთად უძლიერესის სახელი მოიხვეჭა. მათ ფინალში დაამარცხეს ვ. შუბინი და რ. ლინდმიაიე. სარხოიანი ოქროს მედალს დაეუფლა შერეულ წყვილთა ტურნირში, როცა ერევნელ ე. ანტონიანთან ერთად ფინალში ვ. პოპოვა — სტროკატოვის დუეტი დაამარცხა (პოპოვა გახდა ქვეყნის ჩემპიონი ერთეულ ვაჟთა შეჯიბრებაში). ბოლოს დავუმატებთ, რომ

ბათუმელი ოსტატი, რომლის მწვრთნელია ქ. გუგუშვილი, ამ შეჯიბრებისთვის მოამზადა რ. გალუსტოვმა.

ვ. მურადოვი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

* * *

სურათზე: ს. სარხოიანი.

● კალათბურთი

ექვსეული გაირკვა

შედგა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ბოლო მატჩები.

თბილისის დინამოელები სტუმრად თამაშობდნენ რიგაში ადგილობრივ ვეფ-თან და დამარცხდნენ—75:78. რიგელებმა მეორე გამარჯვებაც იზეიმეს, როცა ტაშკენტის „უნივერსიტეტის“ გუნდს სძლიეს — 82:80.

ტალინის „კალევის“ კალათბურთელებმა ორი შეხვედრა გამართეს მოსკოვში: ჯერ დინამოელებთან დამარცხდნენ — 85:103, ხოლო შემდეგ არმიელებთან — 89:105.

კიევის „სტროიტელმა“ უმასპინძლა ნოვოსიბირსკის „ლოკომოტივს“ და დაამარცხა იგი—106:82.

კაუნასის „ჟალგირისმა“ შინ მიიღო ტაშკენტის „უნივერსიტეტის“ გუნდი და გაიმარჯვა—95:88.

ამრიგად, გაირკვა ის ექვსი გუნდი, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლებისთვის გააგრძელებს ბრძოლას. ესენი არიან: ცსკა, ლენინგრადის „სპარტაკი“, კაუნასის „ჟალგირისი“, თბილისისა და მოსკოვის „დინამო“ და კიევის „სტროიტელი“. როგორც ცნობილია, ამ გუნდების ასპარეზობათა პირველი ტური გაიმართება თბილისის სპორტის სასახლეში 9-11 თებერვალს.

გავითვალისწინოთ მეგობრების გამოცდილება

ვარჯიშობს ყველა!

ინტერვიუ

თანამედროვე ცივილიზებულ ადამიანს საარსებოდ დასჭირდა ფიზკულტურა. ყოველდღიური ვარჯიში. მედიცინა დაბეჯითებით გვიმტკიცებს: „მოძრაობას, როგორც ასეთს, თავისი მოქმედებით შეუძლია შეცვალოს ყოველი საშუალება, მაგრამ მსოფლიოს ყველა სამკურნალო საშუალება ვერ შეცვლის მოძრაობის მოქმედებას“. ან კიდევ: „ფიზიკური ვარჯიშის ზეგავლენით შესაძლებელი ხდება შევაჩეროთ სიბერე. ათეროსკლეროზული და დისტროფიულ-დეგენერაციული პროცესების განვითარება, რისი მიღწევაც სამკურნალო წამალთა მოქმედებით ვერ ხერხდება“. კიდევ და კიდევ... უამრავი მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტის მოშველიება შეიძლება საიმისოდ, რომ დავრწმუნდეთ.

ბოლოს და ბოლოს საჭიროა დავძლიოთ საკუთარი ინერტულობა, სიზარმაცე, მოუცლელობა და დავიწყოთ სერიოზული, სისტემატური, ყოველდღიური ვარჯიში.

* * *

სადღეისოდ ერთ-ერთ ყველაზე სპორტულ ქვეყნად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ითვლება. გასაოცარია ამ პატარა სახელმწიფოს სპორტული წარმატებები. ამის საფუძველი კი, რა თქმა უნდა, ფიზკულტურითა და სპორტით საერთო დაინტერესებაა. ვარჯიშობს ყველა — ასაკის, პროფესიის, სქესის განურჩევლად. ვარჯიშობენ დაუზარებლად, გატაცებით, ენთუზიაზმით.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები **დათო კაკაბაძე** და **ალიკო კარტოზია** ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ იენასა და ბერლინში. აი, რა მოგვითხრეს მათ გდრ-ის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების შესახებ.

ალ. კარტოზია: მახსოვს, ახლად ჩასულს როგორ გამიკვირდა, როცა ლექციაზე მიმავალმა დავინახე: სტუდენტთა საცხოვრებლის წინ მდებარე სტადიონზე სკოლის მოსწავლეებს ფეხბურთი გაეჩაღებინათ, ეს იყო დაახლოებით შვიდის ნახევარზე. გერმანიაში სამუშაო დღე ძალიან ადრე იწყება, დილის შვიდ საათზე. რა დროს უნდა ამდგარიყვნენ ეს ბიჭები, რომ სკოლაში წასვლამდე ვარჯიშიც მოესწროთ და ფეხბურთის თამაშიც... და ასე იყო ყოველდღე.

დ. კაკაბაძე: ასეთ „დილის ვარჯიშს“ მარტო ბავშვები კი არა, სტუდენტები და მოზრდილებიც მისდევენ. ჩვენთვის საკვირველი სანახავი იყო დილის 6 საათზე იენის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის წინ მდებარე მოზრდილი მდელო, რომელიც უკვე დილაადრიან სპორტულ ფორმაში გამოწყობილი სტუდენტებით ივსებოდა. ვერ გეტყვით, ბიჭები სჭარბობდნენ თუ გოგონები. გდრ-ში ვერ ნახავთ გოგონას, რომელიც სპორტის რომელიმე სახეობით არ იყოს გატაცებული.

ალ. კარტოზია: მე, პირადად, ერთხანს ძიუდოს სექციაზე დავდიოდი და ძალიან გამიკვირდა, როცა პირველ მეცადინეობაზე ბიჭებთან ერთად სავარჯიშოდ მოსული გოგონები დავინახე.

დ. კაკაბაძე: მთელს მსოფლიოში ბევრს ლაპარაკობენ და ცდილობენ მიაგნონ გდრ-ის მოცურავეთა წარმატებების საიდუმლოს. ჩემი აზრით, მთავარი ის გახლავთ, რომ ამ ქვეყანაში ცურვას ბავშვობიდანვე მასობრივად ეუფლებიან. დიდ ქალაქებში აუარებელი სხვადასხვა ზომის საცურაო აუზია და ამ მხრივ დაბრკოლება არ არსებობს. ბევრ საშუალო სკოლას საკუთარი აუზიც კი აქვს. საერთოდ, სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები შინაარსიანად და მრავალფეროვნად მიმდინარეობს, რაც ხელს უწყობს მოზარდების სპორტით დაინტერესებას.

ალ. კარტოზია: ბერლინის უნივერსიტეტში ფიზკულტურის გაკვეთილები უზარმაზარ სტადიონებზე ტარდება. ეს გახლავთ „მსოფლიოს ახალგაზრდობის“ სტადიონი, რომელიც თხუთმეტი წუთის სავალზეა უნივერსიტეტიდან. ამ სტადიონზე თავისუფალ დროს სისტემატურად დადიან სტუდენტები, მიდიან სპორტულ სექციებში და ცხრილის მიხედვით ფიზკულტურისთვის დათმობილ საათებს იქ ატარებენ, სადაც მეცადინეობებს გამოცდილი პედაგოგები ხელმძღვანელობენ. არსებობს მძლეოსნობის, ცურვის, კრივის, ჭიდაობის, ალპინიზმის,, ჭადრაკის სექციები.

დ. კაკაბაძე: სხვადასხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ხშირად ეჯიბრებიან ერთმანეთს ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში და სპორტის სხვა სახეობებში. ჩვენთან, იენაში, ბევრჯერ ჩამოსულან ბერლინის, ლაიფციგის, დრეზდენისა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტების სხვადასხვა ნაკრები გუნდები. საპასუხო ვიზიტებით ჩვენც ვწვევივართ ამ ქალაქებს.

ალ. კარტოზია: სხვათა შორის, დათო და ეკონომიკის ფაკულტეტის ასპირანტი (ახლა უკვე მეცნიერებათა კანდიდატი) სოსო ჩხიკვიშვილი იენის უნივერსიტეტის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის წევრები იყვნენ.

კიდევ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: თუკი ვარჯიში გინდა, სურვილის განხორციელება პრობლემას არ წარმოადგენს. სავარჯიშო დარბაზები და მოედნები თითქმის ყოველ ნაბიჯზეა. ამასთან, არის შესაძლებლობა წინასწარ შეუკვეთო ესა თუ ის დარბაზი ან მოედანი და დანიშნულ დღეს შენს ამხანაგებთან ერთად ივარჯიშო, ხელს არავინ შეგიშლის.

დ. კაკაბაძე: გარდა ამისა, უმაღლესი სასწავლებლები თავიანთი სტუდენტებისთვის არდადეგების პერიოდში აწყობენ ე. წ. ზამთრისა და ზაფხულის სპორტულ ბანაკებს. სტუდენტები კვალიფიციური სპეციალისტების ხელმძღვანელობით მიემგზავრებიან საუკეთესო სპორტულ კურორტებზე, სადაც მათს განკარგულებაშია შესანიშნავი და თანამედროვე სპორტული ინვენტარი.

ალ. კარტოზია: სპორტი ღრმად არის შეჭრილი ამ ქვეყნის მცხოვრებთა ყოველდღიურობაში. ამას წინათ ერთი გერმანელი პროფესორი ჩამოვიდა თბილისში კონფერენციაზე. იმ დროს ჭადრაკის სასახლეში ვ. გოგლიძის მემორიალი ტარდებოდა. სტუმარი, თავისუფალ დროს თუ იპოვნიდა, ტურნირზე მიიჩქაროდა და პარტიებს თვალს ადევნებდა. ამასთან, უამრავი საჭადრაკო ლიტერატურა შეიძინა. იგი პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე ყოფილა და ამჟამადაც მონაწილეობს რიგით ტურნირებში.

შესაშურია ის დაუზარელობა, ენთუზიაზმი და შეგნებულობა, 6 საათზე რომ სავარჯიშოდ გამოიყვანს ყველას, თორემ ახალი და უჩვეულო, ორგანიზაციული და სტრუქტურული თვალსაზრისით არაფერი კეთდება გდრ-ში.

* * *

სპორტული ბაზებით არა ვართ განებივრებული, მაგრამ არსებული ბაზების გამოუყენებლობა რით ავხსნათ?

ჩვენს სტუდენტებსაც, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებსაც ხომ შეუძლიათ „ლოკომოტივის“ სტადიონზე ივარჯიშონ, მაგრამ ნებით კი არა, დაშინებით თუ მიიყვან სტადიონზე.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში ასეთ სურათს წავაწყდით: ორი ვაჟი კალათბურთს ეთამაშებოდა 15 გოგონას და ისეთი უსუსურები იყვნენ გოგონები, რომ თამაში „პამპულაობას“ დაემსგავსა.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ჩილაძე:

ქალის ორგანიზმს, როგორც პოტენციური დედის ორგანიზმს, უნდა ჰქონდეს მოწესრიგებული სისხლმიმოქცევა, რასაც ხელს უწყობს დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ცურვა და ა. შ.

საერთოდ, სპორტსმენ ქალებში, როგორც ჩემმა 30 წლის პრაქტიკულმა გამოცდილებამ ცხადყო, თითქმის იშვიათია რაიმე პათოლოგია. უფრო მეტიც, სპორტით დაინტერესების შემდეგ შიდა სეკრეციის ჯირკვლების არეული ფუნქციაც მოწესრიგებულა, რაც ჯანსაღი დედობის საწინდარია.

სპორტით ზომიერად გატაცება ორსულობის მიმდინარეობას თითქმის შეუმჩნეველს ხდის ქალისთვის და, როგორც წესი, ისინი ადვილად, ყოველგვარი ხელოვნური ჩარევის გარეშე მშობიარობენ.

ჩვენი გოგონები კი უფრო ხშირად მხოლოდ კოსმეტიკური თვალსაზრისით აფასებენ თავის გარეგნობას.

ამ ხუთი წლის წინ მწერალმა გ. ფანჯიკიძემ დაახლოებით ასეთი აზრი განავითარა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ნორმაზე საშუალოდ 10–12 კილოგრამით მეტს იწონის. ეს საშუალო მაჩვენებელი სადღეისოდ ალბათ შემცირებულია და ისიც გოგონების დიდი თავგამეტების — სხვადასხვაგვარი დიეტის, შიმშილის საფუძველზე. სადღეისოდ მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ შიმშილით სიმსუქნის მკურნალობა მეტად საზიანოა, იწვევს ფსიქიურ, დისტროფიულ ცვლილებებს, კუჭის წყლულს, ორგანიზმი აცეტონური ხდება. ყველაზე სასარგებლო, საჭირო და შედეგიანი საშუალება ისევ და ისევ ფიზკულტურა, სპორტია, მაგრამ ვერა და ვერ გადაგვილახავს საკუთარი ინერტულობა.

დ. კაკაბაძე: რამდენჯერ მინახავს ველოსიპედებით სასეირნოდ გამოსული მოხუცი ქალები. თითქოს ხელი უკანკალებთ, . მუხლი ეკეცებათ, მაგრამ მაინც ვარჯიშობენ, შემომჯდარან ველოსიპედზე და სეირნობენ სუფთა ჰაერზე.

სამკურნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის კათედრის გამგე რ. სვანიშვილი: ფიზიკური ვარჯიში დასაშვებია ყველა ასაკის ადამიანისთვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დროულად, სპეციალურად შემოწმდება ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ფიზიკური დატვირთვის მიმართ მისი ორგანიზმის შემგუებლობის, ადაპტაციის უნარი, რისი გამოვლენაც ჩვეულებრივი საექიმო შემოწმებით არ ხერხდება. საამისოდ საექიმო ფიზკულტურულ დისპანსერებს უნდა მივმართოთ.

მაგრამ ეს დიდი დაბრკოლება არ არის ვარჯიშის მსურველთათვის. ეს ჩვეულებრივი პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმებაა. დილის გამამხნევებელი ვარჯიში ყველა ჩვენთაგანისთვის უნდა გახდეს წესი, ჩვეულება. მოთხოვნილებად უნდა გვექცეს დილის ტუალეტი ვარჯიშით დავამთავროთ.

დღევანდელ ცივილიზებულ ადამიანს საარსებოდ დასჭირდა ფიზკულტურა, ყოველდღიური ვარჯიში...

**საუბარი ჩაიწერა
მ. კარტოზიამ.**

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მთებში!

ორჯონიკიძე. საკავშირო სამთო-სათხილამურო ბანაკ „ტორპედოში“, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის მთებში ზღვის დონიდან 3000 მეტრზე მდებარეობს, გაიხსნა მასობრივი სპორტული სეზონი.

ამ ბრწყინვალე სამთო-სათხილამურო ტრასებს ესტუმრა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სვერდლოვსკის, გორკისა და ნოვოსიბირსკის სპორტსმენთა დიდი ჯგუფი. გამოცდილი მწვრთნელებისა და ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით ისინი სრულყოფენ ოსტატობას, მონაწილეობას მიიღებენ ჩრდილო ოსეთის სპორტკომიტეტის მიერ დაწესებული „ვერცხლის ედელვაისის“ პრიზის გათამაშებაში. ბანაკებში „ტორპედოსა“ და „ცეიში“ ახალბედებისთვის მოწყობილ სპეციალურ სკოლებში იმეცადინებენ 3 კვირის განმავლობაში.

სამთო-სათხილამურო სპორტი ბევრისთვის დასვენების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობა გახდა. ცეის თვალწარმტაც ხეობაში ტურისტები ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოდიან. სამთო-სათხილამურო და მთამსვლელობის უძველესი ცენტრი ბოლო წლებში შესამჩნევად გარდაიქმნა. კავკასიის მთების ფერდობებზე აშენდა კეთილმოწყობილი სასტუმრო, მყუდრო კოტეჯები, სპორტული აღჭურვილობისა და ინვენტარის გამქირავებელი პუნქტი. ახლახან მწყობრში ჩადგა სამგზავრო საბაგირო გზა.

ათასობით დამსვენებელი ჩამოდის ცეიში. მთებში თოვლი თითქმის მთელი წლის განმავლობაში დევს და სამთო-სათხილამურო სპორტში ვარჯიში შუა ზაფხულშიც შეიძლება. ამ სეზონში მაღალმთიან ბანაკებში პირველად გაიმართება ტურისტული სპარტაკიადა. მთთ კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება. სტარტი მიეცემა სკკპ XXVI ყრილობისადმი მიძღვნილ „ვარსკვლავისებურ“ ესტაფეტებს. (საკდესი).

ჩვენი გამოსვლის ქმედითობა

„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოდან გვატყობინებენ:

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილზე — „ყოველი შეჯიბრება დღესასწაულად უნდა იქცეს“, სადაც გაკრიტიკებული იყო საქართველოს კლასიკური სტილით მოჭიდავეთა 1981 წლის ჩემპიონატზე რ. აბრამიშვილის მიერ პირველობის არბიტრის მიმართ ჩადენილი არასპორტული საქციელი — იმსჯელა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ. დღეს ვაქვეყნებთ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის **ნ. გვახარიას** მიერ გამოგზავნილ პასუხს.

„გაზეთ „ლელოს“ № 11 (6822), 1981 წლის 15 იანვრის ნომერში დაბეჭდილი წერილს („ყოველი შეჯიბრება დღესასწაულად უნდა იქცეს“) — პასუხად საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო გატყობინებთ: რ. აბრამიშვილი გათავისუფლებულია სამუშაოდან. ჩვენი ორგანიზაცია შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს სსრ სპორტკომიტეტს, რათა რ. აბრამიშვილს მიეცეს სპორტული დისკვალიფიკაცია. თ. აფხაზავა და მ. სალაძე, აგრეთვე, კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი ამხ. ა. დათიაშვილი მკაცრად არიან გაფრთხილებულნი.

სპორტის გამოყენებითი სახეობის სასწავლო-სპორტულ განყოფილებას და მწვრთნელთა საბჭოს მიეცა წინადადება, რათა გააძლიერონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სპორტსმენებსა და მწვრთნელთა შორის დისციპლინის დარღვევის ფაქტების აღმოსაფხვრელად.

ბრძანება რ. აბრამიშვილის უხეში არასპორტული საქციელის გამო განიხილება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები გუნდების საერთო კრებებზე.

სტარტზე — სოფლის სპორტსმენები

დასრულდა აჭარის სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის საოლქო სპარტაკიადა.

პროგრამაში სპორტის 8 სახეობა შედიოდა. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოსა და შუახევის რაიონულ სპარტაკიადებში გამარჯვებული ფიზკულტურის კოლექტივები.

7 სახეობაში პირველობა მოიპოვეს ქობულეთის რაიონის წარგზავნილებმა. ჭადრაკში გაიმარჯვეს ლელვას, შაშში — ბობოყვათის კოლმეურნეობის, ტურიზმში — ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, თევზჭერაში — ქობულეთის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა, ფრენბურთში ყველას ჩაქველმა ქალებმა აჯობეს, ძალოსნობაში — ქვედა აჭყვას კოლმეურნეობის ათლეტებმა. ხელბურთში უძლიერესი იყო მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ქალთა ნაკრები.

მაგიდის ჩოგბურთელთა, ხელბურთელ და ფრენბურთელ ვაჟთა ასპარეზობანი მოიგეს ხელვაჩაურელებმა.

საერთო შედეგებით სპარტაკიადაში გამარჯვებული გამოვიდა ქობულეთის რაიონის ნაკრები კოლექტივი. II ადგილზეა ხელვაჩაურის რაიონი, მესამეზე — ხულოს რაიონის კოლექტივი.

**ლ. ტრაპაიძე.
(„ლელოს“ კორ.).**

თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში


ს. კორნილაევი


ი. შუგაევი


ს. ბელოგლაზოვი


ბ. იბრაგიმოვი


მ. ხარაჩურა


გ. მაკასარაშვილი

ო. ალექსეევი

ს. ოგანესიანი

მ. მაგომედოვი

ს. ხასიმიკოვი

ნაკრები ელის ღირსეულთ

დასასრული

თადერთმა ქულამ. მერმანიშვილი საფინალო სასტვენამდე არ დამცხრალა, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლო.

საბჭოთა მოჭიდავეები ტრადიციულად უძლიერესნი იყვნენ **მძიმეწონოსანთა** შორის. არსენ მეკოკიშვილს, ალექსანდრე მედვედს, ივანე ლომიძესა და სხვა სახელგანთქმულ ფალავნებს ღირსეული მემკვიდრეები გამოუჩნდნენ — სოსლან ანდიევი, სალმან ხასიმიკოვი, ბორის ბიგაევი (ანდიევი მწვრთნელებმა გაათავისუფლეს თბილისის ტურნირისაგან). კენჭისყრამ პირველივე წრეში დააწყვილა ორი ფავორიტი — ხასიმიკოვი და ბიგაევი. ხასიმიკოვმა ჩინებულად განვლო მთელი ტურნირი და ფინალში პოლონელ გიგანტს, მოსკოვის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს სანდურსკის შეხვდა. საბჭოთა მოჭიდავის უპირატესობა აშკარა იყო — 8:0. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში თბილისელმა ჯემალ ტარიელაძემ წმინდად დაამარცხა ბულგარეთის წარმომადგენელი ივანოვი.

* * *

საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც წლეულს მეოცედ უმასპინძლა თბილისმა, ყოველთვის უკაფავდა გზას დიდი სპორტისკენ საქართველოს მოჭიდავეებს. ვინ მოთვლის, რამდენმა ფალავანმა აიდგა ფეხი ამ შეჯიბრებაში, შემდეგ კი საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ამჯერად ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები ძირითადად ახალბედა მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული. მწვრთნელებს საშუალება მიეცათ უძლიერეს მეტოქეებთან ჭიდილში გამოეცადათ ახალგაზრდები. ბევრმა მათგანმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ტურნირმა ისიც დაგვანახა, რომ ცალკეულ წონით კატეგორიებში არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს. ჯერჯერობით საიმედო სპორტული ცვლა არა ჩანს. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ადგილის დამკვიდრება რთული საქმეა და ეს ამ ტურნირზეც დადასტურდა — ჩვენი გუნდის პირველი ნომრები (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) აშკარად ჩამორჩებიან ქვეყნის ნაკრების კანდიდატებს.

— მე ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით ვაკვირდები ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლას, — ამბობს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში **ალექსანდრე დიაკინი,** — ქართული საჭიდაო სკოლის ბევრი წარმატების მოწმე ვარ, მაგრამ თქვენმა ფალავნებმა საგრძნობლად დათმეს პოზიციები. ეს ახლა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რაზედაც ყველაზე უკეთ შედეგები მეტყველებენ. ბოლო პერიოდში გარკვეული წინსვლა უდაოდ იგრძნობა, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტს მოველით საქართველოს ნაკრები გუნდისაგან. ვიცი, რომ რესპუბლიკის სპორტის მესვეურები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად და ვფიქრობ, ამას შედეგიც უნდა მოჰყვეს. საბჭოთა კავშირის ნაკრები საქართველოდან ღირსეულ შევსებას ელის.

* * *

დიქტორმა სარბიელზე ლევან თედიაშვილს უხმო.

მაყურებელი ტაშით ეგებება ბეჭდაუდებელ ფალავანს.

მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიან რესპუბლიკის სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები, სსრ კავშირის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელები და სპორტსმენები, ლევანის მშობლიური საგარეჯოდან ჩამოსული სტუმრები.

რამდენი სამადლობელო სიტყვა ითქვა იმ საღამოს.

ლევან თედიაშვილმა დაიმსახურა ეს სიყვარული.

მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება სამამულო სპორტის მატიანეში.

ე. ბერიშვილი.

* * *

პრიზიორები:

48 კგ. კორნილაევი (სსრკ), ოლეინიკი (პოლონეთი), სალომონი (აშშ);

52 კგ. შუგაევი (სსრკ), იორდანოვი (ბულგარეთი), რეიჩი (გდრ);

57 კგ. ს. ბელოგლაზოვი (სსრკ), კოლჩევი (ბულგარეთი), განბაატასი (მონგოლეთი);

62 კგ. იბრაგიმოვი (სსრკ), შტერევი (ბულგარეთი), მარინესკუ (რუმინეთი);

68 კგ. ხარაჩურა (სსრკ), პენევი (ბულგარეთი), ბოლდი (მონგოლეთი);

74 კგ. მაკასარაშვილი (საქართველო), შულცი (აშშ), ენხბაარი (მონგოლეთი);

82 კგ. ალექსეევი (სსრკ), კემბლი (აშშ), დუვჩანი (მონგოლეთი);

90 კგ. ოგანესიანი (სსრკ), იანჩევი (ბულგარეთი), ბროშტეანუ (რუმინეთი);

100 კგ. მაგომედოვი (სსრკ), გიბსონი (აშშ), სტრისკო (ჩეხოსლოვაკია);

მძიმე წონა. ხასიმიკოვი (სსრკ), სანდურსკი (პოლონეთი), ივანოვი (ბულგარეთი).

●

სურათებზე: ყაჭაშვილისა და გაჯიევის შეხვედრის მომენტი; მსუბუქ წონაში გამარჯვებულებს ჯილდოებს გადასცემს ლია რუბაშვილი — სახელოვანი მოჭიდავის ვლადიმერ რუბაშვილის ქალიშვილი; 48 კგ წონის მოჭიდავეთა ფინალურ ორთაბრძოლას მსაჯობდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ალექსანდრე მედვედი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



ПРОСЛАВЛЯЕТСЯ В ВЕКАХ



● კრივი

ამჯერად ლას-ვეგასში

ჩვენი ქვეყნისა და აშშ-ის მოკრივეების ტრადიციული სამატჩო შეხვედრები, როგორც წესი, დამდეგი სეზონის კვირაძალზე იმართება და მომავალი ორთაბრძოლებისათვის სპორტსმენთა შემოწმებისა და ნაკრების რიგებში ახალბედების გამოცდის საუკეთესო საშუალება გახლავთ. მატჩები აშშ-ში ლას-ვეგასის, ხოლო ჩვენში სხვადასხვა ქალაქების რინგებზე იმართება. ქართველ გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ორი წლის წინ მსგავსი სამატჩო შეხვედრა თბილისის რინგზე შედგა. მაშინ თავიანთ გუნდს გამარჯვება მოუტანეს ტყავის ხელთათმანის ქართველმა ოსტატებმა ა. ხიზანიშვილმა და დ. კვაჭაძემ, რომლებიც სსრ კავშირის ნაკრებში გამოდიოდნენ.

ამ დღეებში ლას-ვეგასის რინგზე გაიმართა მორიგი შეხვედრა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. მასპინძელთა ნაკრების ღირსებას უმთავრესად ახალბედები იცავდნენ. საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში კი იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი შ. საბიროვი და ჩვენი ქვეყნის 1980 წლის აბსოლუტური ჩემპიონი — ყოველკვირეული „ნედელიას" პრიზის მფლობელი ა. იაგუბკინი.

მატჩის ანგარიშია 10:2 საბჭოთა მოკრივეების სასარგებლოდ.

შ. საბიროვისა და ა. იაგუბკინის გარდა, სტუმრებს გამარჯვებები მოუტანეს: მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ფინალისტებმა ს. კონაკბაევმა, ა. კოშკინმა, ერევნელმა ა. ნიკოლიანმა და ნაკრების დებიუტანტებმა. ამერიკელთა ეს ორად-ორი გამარჯვება კი სტივ კრუზსა და კლიფორ გრეიზე მოდის, რომლებმაც, შესაბამისად, პეტროპავლოვსკელ ა. საფინსა და მოსკოველ ვ. რიბაკოვს სძლიეს.

● ცურვა

ჰოლანდიის ქალაქ ამერსფორტში დამთავრდა 20 ქვეყნის მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვ. სალნიკოვმა მეორე გამარჯვება მოიპოვა — ამჯერად 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ასპარეზობაში — 3.56,16. მის გარდა, პირველი ადგილები დაიკავეს ვოლგოგრადელმა ვ. შემეტოვმა — 400 მ კომპლექსურ ცურვაში — 4.32,3, მოსკოველმა ს. ალინბაევამ — 200 მ ბრასით — 2.37,54 და დონის როსტოველმა ვ. აგეევმა ამავე სახეობაში — 2.21,41.

● ჭადრაკი

მეექვსე პარტია ხვალ გაიმართება

ქალთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში 1 თებერვალს უნდა გამართულიყო მეექვსე პარტია, მაგრამ იგი არ შედგა: ნ. იოსელიანმა აიღო მეორე „ტაიმ-აუტი".

მეექვსე პარტიის თამაში დაინიშნა 4 თებერვლისთვის. ეს იმიტომ, რომ 2 თებერვალი გადადებული პარტიების დამთავრების დღე იყო, 3 თებერვალი კი, რეგლამენტით, დასვენების დღეა.

შევახსენებთ, რომ მატჩში ლიდერობს ნ. ალექსანდრია — 4:1. სათამაშო დარჩა კიდევ 7 პარტია.

●

კარპოვის ახალი წარმატება

ლინარესში (ესპანეთი) დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის დასკვნითი, XI ტურის წინ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. კრისტიანსენმა მოუგო გარსიას და დაუზავდა ლიუბოევიჩსა და რიბლის. ყაიმზე შეთანხმდნენ ლარსენი — კინტეროსი და პორტიში — გლიგორიჩი.

დასკვნით ტურში პარტიები მოიგეს კრისტიანსენმა, ლარსენმა და პორტიშმა. დანარჩენი შეხვედრები, მათ შორის კარპოვ—გლიგორიჩის, ყაიმით დასრულდა.

მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა და ლ. კრისტიანსენმა (აშშ) 8-8 ქულა მოაგროვეს, მაგრამ I ადგილი კარპოვს მიეკუთვნა, რადგან მას კოეფიციენტთა ცხრილით უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა. III ადგილზეა ბ. ლარსენი (დანია) — 7.

შემდეგ მოდიან ზ. რიბლი (უნგრეთი) — 6,5, ლ. კავალეკი (აშშ), ბ. სპასკი — 6-6, ლ. პორტიში (უნგრეთი) — 5,5, ლ. ლიუბოევიჩი, ს. გლიგორიჩი (ორივე — იუგოსლავია) — 5-5, მ. კინტეროსი (არგენტინა) — 4, ხ. ბელონი (ესპანეთი) — 3,5, გ. გარსია (კუბა) — 1,5.

ოსტატობის ნორმატივით

ამას წინათ სვერდლოვსკში გამართულ მოციგავეთა საკავშირო ჩემპიონატის II ტურში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტები, ბაკურიანელი ოსტატობის კანდიდატები დავით ქუმარიტაშვილი და თემურ გაგლოევი („შრომითი რეზერვები"). ორადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში ჩვენი წყვილი VIII ადგილზე გავიდა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ეს დუეტი მომდევნო სტარტს ამ დღეებში აიღებს ცესისში (ლატვია), სადაც გაიმართება 1963-1964 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობის II ტური.

● სამთო თხილამურები

საფრანგეთის სამთო კურორტ ბეჟევის მიდამოებში გაიმართა მსოფლიო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი. ქალთა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში ამ ტურნირის ლიდერმა მ.-ტ. ნადიგმა მოიგო — 1.21,05. თანამემამულე დ. დე აგოსტინი (შვეიცარია) მას 0.08 წამით ჩამორჩა.

პანორამა

● ციგურები

დავოსის (შვეიცარია) მაღალმთიან საციგუროზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე სპრინტერთა მრავალჭიდში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა კანადელმა გ. ბუშემ ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 1000 მეტრი მან 1.13,39-ში დაფარა (ამერიკელ ჰაიდენის მიერ შარშან იანვარში დამყარებული მიღწევა უდრიდა 1.13,60-ს), ხოლო სპრინტერულ მრავალჭიდში 148.775 საჯარიმო ქულა მოაგროვა, ამერიკელზე 1,465 ქულით ნაკლები.

● ფეხბურთი

სანამ ბურთი თამაშში შევიდოდეს...

ეხმაურებიან წერილს — „ყოველი მატჩი ზეიმად რომ იქცეს“

ახალი საფეხბურთო სეზონი კარზეა მომდგარი. საზრუნავი რესპუბლიკის სტადიონების მესვეურებს საკმარისად აქვთ. მათზე დიდადაა დამოკიდებული ბაზების სრული მზადყოფნა სპორტის სხვადასხვა სახეობის, განსაკუთრებით კი ფეხბურთის მოყვარულთა ფართო აუდიტორიის მისაღებად.

მოგეხსენებათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბოლო ხანებში გარემოს დაცვისა და გაჯანსაღების საქმეს. ეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია იმ პრობლემათა შორის, რომლებიც წარმოიშვა ტექნიკური პროგრესის არნახული გაქანების შედეგად. ცნობილია, თუ რა მავნე გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე ინდუსტრიული საწარმოების ნარჩენების, ავტოტრანსპორტიდან გამონაბოლქვი გაზების მზარდი, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშ ზღვარამდე მისული რაოდენობა. ამ მოვლენას ახლა ყველგან გადაჭრით ებრძვიან, კერძოდ, დიდ საქმიანობას ეწევა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველო, რომლის კომპეტენციაშიც, სხვა საკითხებთან ერთად, შედის ამა თუ იმ სიმძლავრის საწარმოს გახსნასთან, ექსპლოატაციაში გაშვებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ხასიათის შეთანხმებები, ე. წ. ვიზის მიცემა. დაუმატეთ ამას ის საშინელი მიკროკლიმატიც, რომელსაც თამბაქოს წევა იწვევს ადამიანთა დიდი თავშეყრის ადგილებზე.

მოდით, გადავიღოთ მოსკოვის ლუჟნიკის სტადიონის მისაბაძი მაგალითი და ავკრძალოთ თამბაქოს მოწევა თბილისის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნებზე იმ შეღავათით, რომ თამბაქოს მწეველებს უფლება მიეცეთ სიგარეტი გააბოლონ ე. წ. ღია „ვესტიბიულში“, რომელიც I და II იარუსებს ყოფს ერთმანეთისგან. ამით ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ როგორც შეჯიბრების მონაწილეებს, ისე მაყურებლებსაც (მოგეხსენებათ, თუ რად ფასობს ჩვენს ინდუსტრიულ ეპოქაში „მისი უდიდებულესობა“ — სუფთა ჰაერი). ე. ი. უნდა შევქმნათ პირობები, რათა ყველამ, თამბაქოს მწეველი იქნება ეს თუ არამწეველი, შეძლოს მატჩის ნორმალურად ყურება და ზოგიერთ მწვავე მომენტში აღელვების დროს გამოიჩინოს თავშეკავება, პატივი სცეს გვერდით მსხდომთ. თუ ყველა მოქალაქე ამ შეგნებით მიუდგება საკითხს, შეიქმნება ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემის ჯანსაღი ატმოსფერო. ამას მოითხოვს არა მარტო ეთიკა, არამედ ადამიანთა ჯანმრთელობა.

არის მეორე, არანაკლებ მტკივნეული საკითხიც, რომლის საქვეყნოდ გამომზეურებას ყველა ერიდება, აქაოდა ძალზე საჩოთიროაო, მაგრამ თვალის დახუჭვა მკრეხელობად მიმაჩნია. ზოგიერთი ვაიმოქალაქე ტუალეტად იყენებს სტადიონის ტერიტორიას, აბინძურებს მას. ამას უმთავრესად სჩადიან ახალგაზრდები. დარწმუნებული ვარ, არც ოჯახს, არც სკოლას არ უსწავლებია მათთვის ასეთი უმსგავსობა. მე ვფიქრობ, საჭიროა სტადიონის ადმინისტრაციის აქტიური პოზიცია, რაზმელთა მხარდაჭერა, დაუნდობელი ბრძოლა მილიციის ორგანოების დახმარებით, მორიგეობის დაწესება ადგილობრივი ძალებით.

მეორეს მხრივ დამსწრე აუდიტორიისთვის საჭიროა ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნა. მხედველობაში მაქვს სტადიონზე ამჟამად არსებული კლოზეტების ქსელის მნიშვნელოვანი გაფართოება, თუ საჭიროა — დიდი საფეხბურთო მატჩებისას დროებითი კლოზეტების გამოყენებაც, როგორც ეს დიდ საფეხბურთო ქალაქებშია —მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში.

კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი. ყველას გინახავთ, რომ მატჩის დამთავრების შემდეგ სტადიონის ტრიბუნები გადათეთრებულია გაზეთებით, დიახ, ჩვენს მიერ გამოყენებული გაზეთებით, ჟურნალებით და, ასე გასინჯეთ, მუყაოს ყუთებითაც კი. ცხადია, ჯერ კიდევ საკადრის პატივს არ ვცემთ როგორც საკუთარ თავს, ისე სტადიონის მომსახურე პერსონალს, დამატებით საზრუნავს ვუჩენთ მათ, სტადიონს ვუკარგავთ ესთეტიკურ მხარეს, ხოლო ზოგიერთ უსაქმოს საშუალებას ვაძლევთ რამდენჯერმე გამოყენებული გაზეთი კვლავ შემოგვაჩეჩოს გაზრდილ ფასებში და ამით „პატარა“ ბიზნესი გააკეთოს. შინიდან მოტანილი გაზეთი თამაშის შემდეგ ისევ გულმოდგინედ უნდა ავიღოთ, დავკეცოთ და უკანვე წავიღოთ, ნუ მოგვერიდება ამის შესახებ მაყურებელთა გაფრთხილება რეპროდუქტორებით.

მოგიწოდებთ სპორტის ყველა მოყვარულს, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული ქართული სპორტის სახელზე, მის დიდებაზე და ჩვენს ეროვნულ კულტურაზე, ვიყოთ მისაბაძნი, ვაქციოთ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი სანიმუშო წესრიგის, მაღალი კულტურის აუდიტორიის საკრებულოდ, სულიერი დასვენებისა და საზეიმო განწყობილების კერად.

თ. მიქაბერიძე,
საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველოს განყოფილების უფროსი.

უ. რ. ბასილია

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სკკპ წევრი 1962 წლიდან უშანგი რაჟდენის ძე ბასილია.

იგი დაიბადა 1931 წელს, თბილისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ შრომითი საქმიანობა დაიწყო და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეს მოახმარა. თბილისის 154-ე სკოლა, სადაც იგი ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობდა, წარმატებით მონაწილეობდა როგორც რაიონულ, ისე საქალაქო სპარტაკიადებში. მის აღსაზრდელებს არაერთხელ გამოუჩენიათ თავი სპორტულ სარბიელზე. უ. ბასილია, როგორც აქტიური და ინიციატივიანი მუშაკი, არჩეული იყო სკოლასთან არსებული პარტიული კონტროლის ჯგუფის წევრად, სადაც კარგი ორგანიზატორული თვისებები გამოავლინა. სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი არაერთხელ ყოფილა სარაიონო სპარტაკიადის უფროსი პასუხისმგებელი მსაჯი, დაკისრებულ მოვალეობას მაღალი პასუხისმგებლობით ართმევდა თავს.

განათლებული, საქმის ერთგული და ენერგიული მუშაკის, გულისხმიერი ამხანაგისა და მეგობრის ხსოვნა მარად დარჩება მათ შორის, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია.

ამხანაგების ჯგუფი.

ნაკრების წარმატება

საბჭოთა კავშირის კლუბების ფეხბურთელთა ნაკრები, როგორც ცნობილია, ვენესუელის ქალაქ მერიდაში მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირში, სადაც მასთან ერთად გამოდიოდნენ კარაკასის „ესტუდიანტესი“, ვენესუელის ეროვნული ნაკრები და კოლუმბიის „მილიონარიოსი“.

საბჭოთა ფეხბურთელებმა პირველი თამაში მოუგეს კოლუმბიის „მილიონარიოსს“ — 2:1, შემდეგ ფრედ ითამაშეს კარაკასის „ესტუდიანტესთან“ — 0:0, მერე კი კვლავ ფრედ დაამთავრეს მატჩი (1:1) ვენესუელის ნაკრებთან და დაიკავეს პირველი ადგილი.

სხვათა შორის ქულათა ამდენივე რაოდენობა დააგროვა (4) ვენესუელის ნაკრებმა, მაგრამ მან უარი თქვა დამატებით დროზე საბჭოთა გუნდთან, რომელიც დაინიშნა გამარჯვებულის გამოსავლენად. ამის შემდეგ პირველობა საბჭოთა გუნდს ხვდა წილად.

თამაშობს „ვესტ-ჰემი“

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მეტოქემ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე — ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ გასულ შაბათს, 31 იანვარს, ინგლისის ჩემპიონატის XXVIII ტურის მატჩი ითამაშა II ლიგაში, დიდი ანგარიშით მოუგო „პრესტონ ნორს ენდს“ — 5:0 და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია.

რუმენიგე თუ მარადონა?

„მარადონა არ არის ახალი პელე“, — განაცხადა ამას წინათ გფრ-ის ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელმა 21 წლის ბ. შუსტერმა მონტევიდეოში გამართული არგენტინა — გფრ-ის მატჩის შემდეგ. „მარადონა არც ისეთი ძლიერი ფეხბურთელი ყოფილა, როგორც მეგონა“, — ამბობს ამავე მატჩის სხვა მონაწილე — ბრიგელი, რომელიც პერსონალურად დარაჯობდა არგენტინელს.

დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „დი ველტმა“ არგენტინა—გფრ-ის მატჩის შემდეგ კითხვით მიმართა თავისი ქვეყნის ცნობილ სპორტსმენებს, მსახიობებს: ვინაა დღეს საუკეთესო ფეხბურთელი მსოფლიოში: ევროპის 1980 წლის ოქროს ბურთის მფლობელი, 25 წლის კარლ-ჰაინც რუმენიგე, თუ არგენტინული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, 20 წლის დიეგო მარადონა?

ვ. დაუმე (გფრ-ის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი): „მარადონა ძალიან მომეწონა. იგი ჭეშმარიტი ფეხბურთელია, თავისი საქმის დიდოსტატი. გახდება თუ არა იგი მეორე პელე, ამას ჯერჯერობით გადაჭრით ვერ გეტყვით, მარადონა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. მე მგონია, რომ რუმენიგეს შესაძლებლობათა შეფასებისას სპეციალისტები და ჟურნალისტები აჭარბებენ“.

ჰ. იუნკე (კინომსახიობი): „არგენტინელის თამაში პირველად ვიხილე და, მართალი გითხრათ, ის ვერ ვნახე, რასაც ლაპარაკობდნენ. ეს არ არის ახალი პელე. ბრიგელმა ძალიან კარგად ითამაშა მის წინააღმდეგ“.

პ. ჰუსინგი (ევროპის ჩემპიონი კრივში): „არც ერთ ფეხბურთელს არ განვასხვავებ ერთმანეთისგან. რუმენიგემ ვერ გვაჩვენა თავისი ნამდვილი თამაში, მარადონა კი მხოლოდ ბურთით არის სახიფათო“.

ჰ. შიონი (გფრ-ის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი): „მათი შედარება არ შეიძლება, ეს ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ფეხბურთელებია. მაგრამ მარადონა ნამდვილი ტალანტია, სწრაფი და აზრიანი ფეხბურთელი“.

ე. კიუნჰაკელი (გფრ-ის ჰოკეისტთა ნაკრების წევრი): „თუ შემეკითხებით მარადონა თუ რუმენიგე, მე გიპასუხებთ... ბრიგელი. მან ბრწყინვალედ ითამაშა მარადონას წინააღმდეგ“.

ჰ. ტაპერტი (კინომსახიობი): „მარადონას ნაკლებად ვიცნობ და ამიტომაც ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რუმენიგეს სიძლიერე კი ყველამ კარგად იცის“.

ვ. ოვერატი (გფრ-ის ნაკრების ყოფილი მოთამაშე): „მათი ურთიერთდაპირისპირება ძნელი საქმეა. რუმენიგე ცენტრში თამაშობს და ბურთს ელოდება, მარადონა კი უფრო ამინდის შემქმნელია. მისი მოძრაობა და პასები შესანიშნავია, მაგრამ ჯერ ადრეა არგენტინელს ახალი პელე ვუწოდოთ“.

ზ. მაიერი (გფრ-ის ნაკრების ყოფილი მეკარე): „პირადად მე რუმენიგეს უფრო წინ ვაყენებ. არგენტინელის ასე უცებ ცაში აყვანა ნაადრევია. იგი კარგად უბამს პარტნიორებს მხარს თუკი თამაში კარგად გამოსდის, ხოლო რუმენიგე უფრო ათლეტური და სახიფათოა შეტევის დროს. მარადონას შედარება პელესთან აბსურდად მიმაჩნია“.

ჰ. ჰეიერი (ავტომრბოლელი): „ერთი თამაშით ძნელია განსაზღვრო რომელიმე ფეხბურთელის სიძლიერე. თუ რამდენად ძლიერია რუმენიგე, ამაში ყოველ კვირას ვრწმუნდებით ბუნდესლიგის თამაშების მიხედვით, არგენტინასთან მატჩის დროს იგი უმთავრესად მარცხენა ფრთაზე თამაშობდა, რაც ტაქტიკურად გაუმართლებლად მიმაჩნია. გაზეთების მიერ მონათლული „სუპერ-მარადონა“ მე ვერ ვიხილე. ამ შეხვედრაში არგენტინელმა ბევრი ვერაფერი გვიჩვენა, მაგრამ მისი დიდი პოტენციალი აშკარაა. მარადონას თამაში რამდენიმეჯერ უნდა ნახო, რომ ობიექტურად შეძლო მისი შეფასება“.

მასალა პუბლიკაციისთვის
მოამზადა მ. რადიანმა.

კონკურენტი არა ჰყავს?

ფიფა-ს ახლანდელი პრეზიდენტი ჟ. აველანჟი აპირებს კიდევ ერთხელ წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ამ პოსტზე (რწმუნებულების ვადა მას უთავდება 1982 წლის ზაფხულში).

უეფა-ს ახლანდელმა პრეზიდენტმა დოქტორმა ა. ფრანკიმ (იტალია), რომელიც აველანჟის შესაძლებელ კონკურენტად ითვლებოდა, განაცხადა, რომ არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას.

ყოველგვარი დავა შეწყდება

კოლუმბიის პრეზიდენტი ჰულიო სესარ ტურბაი ოფიციალური განცხადებით გამოვიდა იმის თაობაზე, რომ მისი ქვეყანა ჩაატარებს მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატს ფეხბურთში. ამას გარდა, საერთაშორისო კომისიამ, რომელიც კოლუმბიაში იმყოფებოდა, დასკვნა გამოიტანა, რომ ეს ქვეყანა ნორმალურ პირობებს შეუქმნის ჩემპიონატის მონაწილეებს.

ამიერიდან, ფიქრობენ ფეხბურთის მიმომხილველები, ყოველგვარი დავა უნდა შეწყდეს იმის თაობაზე, თუ სად გაიმართება 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი.

კვლავ გვიხმობს კოხტა

3-8 თებერვალს ბაკურიანში გაიმართება სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატის VI ტური სამთო-სათხილამურო სპორტში. შეჯიბრებაში გაზეთ „ლელოს“ ტრადიციული პრიზები გათამაშდება.

ასპარეზობაში, რომელიც კოხტა II-ზე მოეწყობა, გამოვლენ ქვეყნის უძლიერესი ოსტატი ქალები და ვაჟები. შეჯიბრების (მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ი. ოვანეზოვი) პროგრამაშია სწრაფდაშვება და გიგანტური სლალომი.

როგორც ვიუწყებოდით, ამას წინათ ბაკურიანში გაიმართა გაზეთების „ლელოსა“ და „ბორჯომის“ ტრადიციული პრიზების გათამაშება თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში. გთავაზობთ ამ ასპარეზობაში გამარჯვებულთა ფოტომასალას.

სურათებზე: „ლელოს“ პრიზისთვის 40-მეტრიან ტრამპლინზე მოასპარეზეთა შორის გამარჯვებულები საპატიო კვარცხლბეკზე. შუაში — თასის მფლობელი ვ. იარემოვი, შეჯიბრების პრიზიორები გ. კოზანაშვილი და ვ. ნაგოგა; მარჯვნივ —25-მეტრიან ტრამპლინზე გამარჯვებული ე. ორჯონიკიძე, რომელმაც გაზეთ „ბორჯომის“ პრიზი მოიპოვა.

ნ. ქარელის ფოტოები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

6-7 თებერვალს
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში

გაიმართება თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საქართველოს სსრ მოფარიკავეთა 1980 წლის კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ შეჯიბრებებში მონაწილეობის შედეგები და 1981-82 წლების სპორტულ ღონისძიებებისთვის მზადების ამოცანები.

დასაწყისი 10 ს.

რესპუბლიკაში მომუშავე მწვრთნელთა დასწრება სავალდებულოა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, კოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 07649